საბჭოს სამოქმედო გეგმა 2021 დამტკიცებულია

26 აპრილს საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე დამტკიცდა საბჭოს სამოქმედო გეგმა 2021. ასევე, საბჭოს სხდომაზე ხატია წილოსანის მიერ ინიცირდა თემატური მოკვლევის „ქალების მონაწილეობა ჩრდილოეთ ეკონომიკაში და COVID-19ის გავლენა მათზე“, რაც დამტკიცდა საბჭოს მიერ.

განახლდა სახელმწიფო კონცეფციაზე მუშაობა

7 აპრილს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) საქართველოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციასა და გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონი შესატან ცვლილებებს დაეთმო. საბჭომ სახელმწიფო გენდერულ კონცეფციაზე მუშაობა განაახლა.

აპრილში საბჭომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა

21 აპრილს საბჭო გამოეხმაურა პარლამენტის წევრის, სალომე სამადაშვილის მიმართ გამოვლენილ სიძულვილის კამპანიას და დაგმო პოლიტიკოს ქალებზე განხორციელებული აგრესიული შეტევები.

14 აპრილს საბჭოს თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა ნინუცა მაყაშვილის მხარდამჭერი ოფიციალური განცხადება გაავრცელა და კიდევ ერთხელ დაგმო ქალთა მიმართ ძალადობა.

საბჭომ ახალი საინფორმაციო კამპანია წამოიწყო

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) ხელშეწყობით, სოციალურ ქსელ Facebook-ში ახალი საინფორმაციო კამპანია წამოიწყო, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის და განსაკუთრებით, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

ნინო წილოსანი WPL წარმომადგენლად აირჩიეს

გენდერული თანაწორობის მუდმივმოქმედი საპარ-ლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი, პარლამენტის წარდგინებით გლობალური ქსელის „ ქალი პოლიტიკური ლიდერები“ (WPL) წარმომადგე ნლად დაინიშნა.